ქუთაისის
უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

2023-2024 აკადემიური წელი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები

ბიზნესის ადმინისტრირება

განხილულია და დამტკიცებული ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:
ოქმი №11, 09.03.2020

ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:
ოქმი №ს 5-24 22.04.2024
დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:
დადგენილება №7, 23.04.2024

განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების I საფეხური)

სწავლების ენა: ქართული ენა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი / Bachelor of BusinessAdministration

სწავლის ხანგრძლივობა: 4 სასწავლო წელი, 8 სემესტრი **საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი (ECTS)

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი: აზა იფშირაძე, ასოცირებული პროფესორი (აფილირებული), ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი. საკონტაქტო ინფორმაცია: ელ- ფოსტა: aza.iphshiradze@unik.edu.ge.

გოჩა თუთბერიძე, პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის თანახელმძრვანელი. საკონტაქტო ინფორმაცია: ელ -ფოსტა: gocha.tutberidze@unik.edu.ge

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შემდეგი საგნების ჩაბარება (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი):

ა) ქართული ენა და ლიტერატურა;
ბ) ნებისმიერი უცხო ენა;
გ) მათემატიკა/ისტორია თითოეული საგნისთვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების 10%-ზე ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადგილების გამოცხადებამდე.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაძლებელია პროგრამაზე სტუდენტის მიღება:

1. პირებს, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის

ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის “შესაბამისად.

2. შიგა და გარე მობილობით. ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის მიზანი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზნებია სტუდენტს:

1. მისცეს ფართო თეორიული ცოდნა ბიზნეს-საქმიანობისა და მისი ფუნქციონლაური სფეროების შესახებ;
2. გამოუმუშაოს ცვალებად გარემოში მიმდინარე პროცესების შეფასებისა და კრიტიკულად გააზრების შესაძლებლობა;
3. განუვითაროს სხვადასხვა დონის მენეჯმენტისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, რაც შეესაბამება ფინანსური, მარკეტინგული, ბუღალტრული და სხვა ფუნქციების ეფექტიან შესრულებას;
4. განუვუთაროს ღირებულებები და დამოკიდებულება, რაც უზრუნველყოფს მის ჩამოყალიბებას კონკურენტუნარიან, მაღალკვალიფიციურ, ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებად;
5. შეუქმნას პირობა, რათა კურსდამთავრებულმა შეძლოს სწავლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელება, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

სწავლის შედეგები

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს:

ცოდნა და გაცნობიერება

1. ბიზნეს სფეროს კომპლექსური თეორიული საკითხების აღწერას და ბიზნეს-საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას;
2. იმ შიდა და გარე ფაქტორების იდენტიფიცირებას, რომლებიც მოქმედებენ ბიზნეს-სუბიექტის განვითარებაზე თანამედროვე სოციალ-ეკონომიკურ გარემოში;

უნარი

3. ცვალებად გარემოში მიმდინარე პროცესების კრიტიკულ შეფასებას და რაციონალურ გადაწყვეტილებათამიღებას;
4.პროექტების მართვის ინსტრუმენტების გამოყენებას სამეწარმეო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის;
5. ბიზნეს-სუბიექტის ეკონომიკური ოპერაციების სწორ აღრიცხვას, საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და სხვადასხვა ნორმების მოთხოვნების შესაბამისად;
6. თანამედროვე ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით ეფექტური გაყიდვების ორგანიზებას;
7. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით საჭირო ინფორმაციის (მ.შ. უცხოენოვანი) მოძიება- დამუშავებას და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას ბიზნესის დაგეგმვისა და ადმინისტრირებისათვის;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

8. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის გაზიარებას და საკუთარი ღირებულებებისა და ძირითადი პრინციპების დემონსტრირებასა და დაცვას (მ.შ. უცხო ენაზე);

9.დამოუკიდებლად განსაზღვროს კონკრეტულ დარგშიმისთვის სასურველ სეგმენტზე შემდგომი განვითარების შესაძლებლობა საკუთარი ცოდნისა და უნარების გათვალისწინებით.

პროგრამის სტრუქტურა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. პროგრამის ნორმატიული ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს.

პროგრამა სტრუქტურულად დაყოფილია შემდეგნაირად:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 120 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტი
- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 55 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები - 35 კრედიტი;

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მეშვეობით განისაზღვრება სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამის კონკრეტულშედეგებთან.

პროგრამაში სტუდენტის ცოდნის შეფასება დაფუძნებულია კრიტერიუმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ფლობს თუ არასტუდენტი სასწავლო კურსით დადგენილ სწავლის შედეგებს.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს “.

სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება შეფასების კომპონენტებით, შუალედური შეფასებით და დასკვნითი შეფასებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 42 %, დასკვნითი გამოცდის შეფასების 50%+1. სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს დადგენილისგან განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხვნის შესაბამისად.

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით მიიღება 51 ქულა ან მეტი.

სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში

დასაქმების სფერო

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს: ნებისმიერი საწარმოს მართვის ქვედა და საშუალო დონეებზე საჯარო თუ კერძო სექტორებში;
ბიზნეს და არასამთავრობო ორგანიზაციებში; სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტსა და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში; კომპანიის დირექტორატის ოფისებში, ოპერაციულ მენეჯმენტში, მარკეტინგსა და გაყიდვებში, კადრების მართვაში, ფინანსებში, ბუღალტერიაში, ადმინისტრაციაში, მართვის საინფორმაციო სისტემებსა და ბიზნესის სხვა ფუნქციონალურ სფეროებში; საჯარო დაწესებულებებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების ეკონომიკური მიმართულების სტრუქტურულ ერთეულებში; საკონსულტაციო ცენტრებში; საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმოადგენლობებში.

ტურიზმი

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:
ოქმი №ე 15-21, 10.03.2021
დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით:
დადგენილება №2, 12.03.2021

ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:
ოქმი №ს 5-24 22.04.2024
დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:

დადგენილება №7, 23.04.2024

განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების I საფეხური)

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში / Bachelor of Business Administration in Tourism

სწავლის ხანგრძლივობა: 4 სასწავლო წელი (8 სემესტრი)

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი (ECTS)

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი, დოქტორი, მაია აზმაიფარაშვილი, ელ. ფოსტა: maia.azmaiparashvili@unik.edu.ge

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ქუთაისის უნივერსიტეტში.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბაროს შემდეგი საგნები:

ა) ქართულ ენა და ლიტერატურა, (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი);

ბ) ერთ-ერთი უცხო ენა: ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, რუსული ენა (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი);

გ) ერთ-ერთი შემდეგი საგანი: ისტორია/მათემატიკა/გეოგრაფია (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი). თითოეული საგნისთვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების 10%-ზე ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადგილების გამოცხადებამდე.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას მოპოვებენ:

პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/ სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის მიზანი

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ასახულია ქუთაისის უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები. ასევე, გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები, ადგილობრივი თუ უცხოური უნივერსიტეტების მიერ განხორციელებული საბაკალავრო პროგრამების წარმატებული გამოცდილება. აღნიშნულის საფუძველზე, ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწავლების შეთავაზებით მოამზადოს და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კომპეტენციებით აღჭურვოს კონკურენტუნარიანი, სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი სპეციალისტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

1. შესძინოს ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციონალური სფეროების შესახებ, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას; ასევე, მისცეს ცოდნა ტურიზმის ინდუსტრიის, ბიზნესის, ტურისტული საწარმოს მენეჯმენტის, ტურიზმის მარკეტინგის, ტურიზმის პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საკითხებზე;

2. გაუღრმავოს თეორიული ცოდნა და განუვითაროს ტურისტული რესურსების ძირითადი მახასისთებლების, ტურისტული მომსახურების ბაზრის სეგმენტების თავისებურებების ანალიზის, მიმზიდველი ტურისტული პროდუქტის შექმნის, შეთავაზების, ასევე, ტურიზმის დარგში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან დაკავშირებული ემპირიულ მონაცემთა ანალიზისა და სათანადო დასკვნის ჩამოყალიბების პრაქტიკული უნარ-ჩვევები;

3. გამოუმუშაოს კომუნიკაციის, პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭირის გზების დაგეგმვის, ასევე, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი;

4. პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ხელი შეუწყოს აკადემიური და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვას.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

1. **აღწერს** ბიზნესის ძირითადი ფუნქციონალური სფეროების თეორიულ-მეთოდოლოგიურ, ორგანიზაციულ საფუძვლებს და მათ ურთიერთკავშირს; ასევე, ბიზნეს-გარემოს რეგულირების თეორიებს, კონ-

ცეფციებსა და ძირითად პრინციპებს; ტურისტული ბიზნეს-საქმიანობის თავისებურებებისა და ეფექტიანობის ამაღლების გზებს; ტურიზმის ეროვნულ და გლობალურ ეკონომიკურ გარემოს;

2. **განიხილავს** ტურიზმის სფეროს ეკონომიკურ მახასიათებლებს, ტურიზმის ეკონომიკურ კონტრიბუციასა და მის ეფექტებს; ტურიზმის ეკონომიკის განვითარებაში მოხმარების, დანაზოგებისა და ინვესტიციების როლს; სოციალურ-კულტურულ, პოლიტიკურ-სამართლებრივ და ეკოლოგიურ საკითხებს, ტურიზმის სფეროს საქმიანობის პროცესებს, ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების დაგეგმვის, განხორციელებისა და მართვის საკითხებს; ტურისტული საწარმოს საქმიანობის შედეგებს, კონკურენციის მამოძრავებელ ძალებს;

3. **ახდენს** საქართველოს და სხვა ქვეყნების ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებისა და პოტენციალის ხარისხობრივი მახასიათებლების იდენტიფიცირებას და **განასხვავებს** საქართველოს საკურორტო–რეკრეაციული მეურნეობის სპეციალიზაციას;

უნარი

4. **იყენებს** მარკეტინგული ინფორმაციის მოპოვების საშუალებებსა და მეთოდებს, მარკეტინგისა და გაყიდვების მართვის პრინციპებს; მარკეტინგული მონაცემების შეგროვების, მსოფლიო და ადგილობრივი ტურისტული ბაზრების ტენდენციების შეფასებისა და დაკავშირების საფუძველზე ახდენს მათ კლასიფიცირებას და ანალიზს; ასევე, ტურიზმის განვითარების რესურსული ბაზიდან **გამოარჩევს** ტურისტული საქმიანობის პერსპექტიულ მიმართულებებს; ახდენს ბაზრის სეგმენტაციას, ადგენს მიზნობრივ ბაზარს, შეიმუშავებს ახალ ტურისტულ პროდუქტს და მომხმარებელზე მორგებულ მარკეტინგულ შეთავაზებებს;

5. ტურისტული საქმიანობის განხორციელებისათვის **იყენებს** აპრობირებულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, ახდენს ტურიზმის სფეროს ცალკეული სეგმენტის შდეგების ანალიზს; **ამზადებს** ტურიზმის ინდუსტრიაში ხარისხის, უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების პროგრამებს;

6. ტურიზმის ბიზნესის განხორციელებისთვის **ადგენს** მოქმედებების გეგმას, განსაზღვრავს თანამედროვე ბიზნესის სპეციფიკას და ტურიზმის ბიზნესის ორგანიზაციის დროს გასათვალისწინებელ ფაქტორებს; **აიდენტიფიცირებს** ტურისტული მიმართულების პოზიციონირების სტრატეგიულ მიდგომებს საერთაშორისო მიზნობრივ ბაზრებთან მიმართებით; ბიზნეს გარემოს ანალიზის საფუძველზე **ახდენს** კონკურენტუნარიანი ტურისტული პროდუქტის დაგეგმვას და მართვას.

7. **მსჯელობს** წარმოშობილი პრობლემების და მათი გადაჭრის გზების შესახებ, სასურველი შედეგების მისაღწევად ახდენს ზეპირი და წერითი ფორმით კომუნიკაციას, ასევე, საკუთარი პოზიციის არგუმენტირებას, საქმიანი დოკუმენტების მომზადებას დარგობრივი ტერმინოლოგიის და შესაბამისი საინფორმაციო, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

8. თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით **ამზადებს პრაქტიკული ხასიათის** პროექტებს, ანგარიშებს და პრეზენტაციებს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; ასევე, ეფექტურად **იყენებს** გეოინფორმაციული სისტემებს (GIS) და მის საფუძველზე შექმნილი რუკების გამოყენებით ახლებურად წარმოაჩენს ტურისტულ პოტენციალს, რესურსსა და პროდუქტს;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

9. **აღიარებს** ტურიზმის სფეროში არსებულ პრინციპებს, დამკვიდრებულ ნორმებსა და პროფესიულ სტანდარტებს. **მოქმედებს** აკადემიური და პროფესიული ეთიკური ნორმების დაცვით, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპებით.

პროგრამის სტრუქტურა

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, აქედან:

- **ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებს ეთმობა 180 კრედიტი, მათ შორის:** ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს - 165 კრედიტი; ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს - 15 კრედიტი;
- **თავისუფალ კომპონენტს, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე ეთმობა 60 კრედიტი მათ შორის:** თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსებს - 50 კრედიტი, თავისუფალი კომპონენტის არაჩევით სასწავლო კურსებს - 10 კრედიტი.

არჩევითი თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსები, როგორც პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან, ასევე, უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლბში შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით.

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსებიმი მართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მისაღები კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას.

პროგრამის ფარგლებში, სასწავლო გეგმით განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები, კომპონენტების თანმიმდევრობა, კომპონენტების კრედიტების სემესტრული განაწილება, სტუდენტის სემესტრული დატვირთვა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მეშვეობით განისაზღვრება სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამის კონკრეტულ შედეგებთან. საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის ცოდნის შეფასება დაფუძნებულია კრიტერიუმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ფლობს თუ არა სტუდენტი სასწავლო კურსით დადგენილ სწავლის შედეგებს.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება შეფასების კომპონენტებით, შუალედური შეფასებით და დასკვნითი შეფასებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალურისაბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება დაეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულიქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 42 %, დასკვნითი გამოცდის შეფასების 50%+1. სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს დადგენილისგან განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხვნის შესაბამისად.

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით მიიღება 51 ქულა ან მეტი.

სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღებისშემთხვევაში.

დასაქმების სფერო

„ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს „ბიზნესის ად- მინისტრირების ბაკალავრს ტურიზმში“ შეეძლება კვალიფიციური საქმიანობა ნებისმიერი ორგანიზაციულ- სამართლებრივი ფორმის ტურისტულ დაწესებულებაში, მცირე და საშუალო ზომის სტრუქტურული ქვედანაყოფების

ადმინისტრაციულ პოზიციაზე, ტურისტულ კომპანიებში, სასტუმროს ინდუსტრიაში, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციაში, დაცული ტერიტორიების სააგენტოში, დაცულ ტერიტორიებსა და ეროვნულ პარკებში, რეგიონულ ადგილობრივ თვითმმართველობით ერთეულებში, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში, ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესის საკონსულტაციო კომპანიებში, ტურიზმის ინდუსტრიაში არსებულ ასოციაციებში.

ეკონომიკა

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:
ოქმი №ე 20 - 21, 30.06.2021
დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:
დადგენილება №6, 25.08.2021

ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:
ოქმი №ს 2-24, 21.02.2024
დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:
დადგენილება №4, 23.02.2024

განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების I საფეხური)

სწავლების ენა: ქართული ენა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0311 ეკონომიკა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის ბაკალავრი / Bachelor of Economics

სწავლის ხანგრძლივობა: 4 წელი (8 სემესტრი)

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა: 240 (ECTS) კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი:ასისტენტ-პროფესორი აკაკი მოსახლიშვილი

მობ.: (+995) 593 260 638

ელ.ფოსტა: akaki.mosakhlishvili@unik.edu.ge

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება:
სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ქუთაისის უნივერსიტეტში.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბაროს შემდეგი საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ერთე-ერთი უცხო ენა: ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, რუსული ენა), მათემატიკა.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარია კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ბარიერის დაძლევა.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ:

პირებს, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტები.

პროგრამის მიზანი

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

1. მისცეს სტუდენტს ფართო თეორიული ცოდნა ეკონომიკის სფეროში და შეუქმნას მას წარმოდგენა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე მოქმედი ფაქტორების შესახებ. გაათვითცნობიეროს სტუდენტი ძირითად ეკონომიკურ კანონზომიერებებში;
2. შეუქმნას სტუდენტს წარმოდგენა თანამედროვე სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენებით ეკონომიკური ანალიზის ჩატარების შესახებ; შესძინოს მას მკაფიო, დასაბუთებული დასკვნის ფორმულირების კომპეტენცია; განუვითაროს კრიტიკული და კრეატიული ეკონომიკური აზროვნების უნარი;
3. განუვითაროს სტუდენტს კვლევის წარმართვის უნარი, რაც მას დაეხმარება როგორც შრომის ბაზარზე, ასევე აკადემიურ სივრცეში წარმატების მიღწევაში; უზრუნველყოს აკადემიური და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვის მნიშვნელობის გააზრება, ასევე, იმ პასუხისმგებლობის გააზრება, რაც მას კოლეგებისა თუ საზოგადოების წინაშე აკისრია.

სწავლის შედეგები

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

1. აღწერს ძირითადი ეკონომიკური დისციპლინების თეორიებსა და პრინციპებს, ბაზრის სახეობებსა და კონკურენციის ფორმებს, მოთხოვნა-მიწოდებაზე მოქმედ ფაქტორებს, ფასწარმოქმნის მექანიზმს, სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებს, ძირითად მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს;

2. განიხილავს საქართველოსა და მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს და აკავშირებს ამ პროცესებს ქვეყნის საჯარო ფინანსების, სექტორული ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად პრობლემატიკასთან;

3. ახდენს ეკონომიკის მდგრადი განვითარების ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირებას და აკავშირებს მათ რესურსული პოტენციალის რაციონალურ გამოყენებასთან.

უნარი

4. კომუნიკაციისას იყენებს შესაბამის პროფესიულ ტერმინოლოგიას, მ.შ. უცხო ენაზე;

5. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ინფორმაციის სტატისტიკური მეთოდებით დამუშავების საფუძველზე აყალიბებს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევისთვის შესაფერის მოდელს; იყენებს ეკონომიკის თეორიულ ცოდნას და სიტუაციათა ანალიზზე დაყრდნობით ადგენს პრაქტიკული ხასიათის პროექტებს; იღებს დასაბუთებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს;

6. აანალიზებს მიკრო და მაკროეკონომიკის, სექტორული და რეგიონული ეკონომიკის ძირითადი პრობლემატიკის თავისებურებებს და გამოწვევებს; ეროვნულ ანგარიშთა სისტემის განზოგადებული ანალიზით ერთმანეთს ადარებს ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციებსა და ძირითად მიმართულებებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

7. ეკონომიკური საკითხების გააზრებისას აღიარებს სოციალური პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპებს და მათზე დაყრდნობით ახდენს საკუთარი პროფესიული და აკადემიური ღირებულებების დემონსტრირებას და დაცვას;

8. კონკრეტულ სიტუაციაში, საკუთარი ცოდნისა და უნარების გათვალისწინებით, ეთიკის პრინციპების დაცვით, ავტონომიურობის მაღალი ხარისხით, დამოუკიდებლად განსაზღვრავს, გეგმავს და იყენებს კვლევის მეთოდოლოგიას.

პროგრამის სტრუქტურა

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს: **ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო** კომპონენტებს 170 კრედიტის მოცულობით. მათ შორის, **ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო** კომპონენტებს 135 კრედიტის მოცულობით და **ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო** კომპონენტებს 35 კრედიტის მოცულობით. საგანმანათლებლო პროგრამა ასევე ითვალისწინებს **თავისუფალ კომპონენტს** 70 კრედიტის მოცულობით, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. მათ შორის, **სავალდებულო თავისუფალ** კომპონენტს 35 კრედიტის მოცულობით და **არჩევით თავისუფალ კომპონენტს** 35 კრედიტის მოცულობით, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსები როგორც პროგრამაში შემოთავაზებული ჩამონათალიდან, ასევე უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლბში შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მეშვეობით განისაზღვრება სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამის კონკრეტულშედეგებთან. საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის ცოდნის შეფასება დაფუძნებულია კრიტერიუმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ფლობს თუ არა სტუდენტი სასწავლო კურსით დადგენილ სწავლის შედეგებს.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება შეფასების კომპონენტებით, შუალედური შეფასებით და დასკვნითი შეფასებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში.
დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 42 %, დასკვნითი გამოცდის შეფასების 50%+1. სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს დადგენილისგან განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხვნის შესაბამისად.

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით მიიღება 51 ქულა ან მეტი.

სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

დასაქმების სფერო

ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხის მქონე პირებმა შეიძლება დაიკავონ პოზიციები მართვის ქვედა და საშუალო დონეებზე, ნებისმიერ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომპანიებში, კერძო, სახელმწიფო, მუნიციპალურ საწარმოებში, არაკომერციულ ორგანიზაციებში, გაერთიანებებში, რომლებსაც ესაჭიროებათ პროფესიული ცოდნა ეკონომიკის სფეროში. აგრეთვე ბანკებში, ბირჟებზე, საბაჟოებზე, საბიუჯეტო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, საინვესტიციო ფონდებში, საგადასახადო ორგანოებში, სხვადასხვა საწარმოთა საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურებში, კვლევით და საკონსულტაციო ორგანიზაციებში.

სამართლის საბაკალავრო პროგრამა

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი № ს8-21, 03.12.2021

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:

დადგენილება №9, 07.12.2021

ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:
ოქმი №ს 5-24 22.04.2024
დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:
დადგენილება №7, 23.04.2024

განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების I საფეხური)

სწავლების ენა: ქართული, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა რამდენიმე სასწავლო კურსს დაეუფლოს ინგლისურ ენაზე

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0421 სამართალი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი / Bachelor of laws

სწავლის ხანგრძლივობა: 4 წელი (8 სემესტრი)

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი (ECTS)

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:

სოფიო ყუბანეიშვილი, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ქუთაისის უნივერსიტეტის აფილირებული, ასოცირებული პროფესორი. ტელ.: (+995) 577 64 84 00; ელ. ფოსტა: sophio.kubaneishvili@unik.edu.ge;

ლევან მესხორაძე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. ტელ.: (+995) 577 11 11 14; ელ. ფოსტა: levan.meskhoradze@unik.edu.ge.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება:

სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ქუთაისის უნივერსიტეტში.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბაროს შემდეგი საგნები:

ა) ქართული ენა და ლიტერატურა;

ბ) უცხოური ენა (ინგლისური ენა, რუსული ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა);

გ) მათემატიკა/ისტორია/სამოქალაქო განათლება. თითოეული საგნისთვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა

არ უნდა იყოს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების 10%-ზე ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ადგილების გამოცხადებამდე.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარია კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ბარიერის დაძლევა.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ:

პირებს, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტები.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი იურისტების მომზადება, რომელთაც:

1. ექნებათ სამართლის არსის, სისტემის, ძირითადი პრინციპების, სამართლებრივი სისტემების, ქართული სამართლის ისტორიული წყარეობის ფართო თეორიული ცოდნა, კერძო, სისხლის, საჯარო და საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებისა, თეორიებისა და რეგულირების თავისებურებების სიღმირსებული ცოდნა.

2. მიღებული თეორიული ცოდნისა და შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების საფუძველზე შეეძლებათ სამართლებრივი პრობლემების ანალიზი და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრა, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით სამართლებრივი პოზიციის დასაბუთება, ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და მათი სამართლებრივი შეფასება, სამართლებრივი დავის წარმოება, დავის ტაქტიკის განსაზღვრა და პოზიციის დასაბუთება, იურიდიული დოკუმენტების შედგენა, შესაბამისი მითითებით კვლევითი ან/და პრაქტიკული ხასიათის პროექტის შემუშავება, საჭირო ინფორმაციის მათ შორის, საკანონმდელო ცვლილების, მეცნიერების სიახლეების ან/და სასამართლო პრაქტიკის მოძიება და ცოდნის მუდმივად განახლება.

3. მიღებული ცოდნისა და შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების საფუძველზე შეეძლებათ მუდმივად ცვალებად პროფესიულ გარემოში ადაპტაცია და სხვადასხვა ტიპის სამართლებრივი პრობლემის გადაჭრა.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

I - აღწერს სამართლის არსს, სისტემას, მის ძირითად პრინციპებს, სამართლებრივ სისტემებს, სამართლის სფეროში არსებულ თეორიებს, სამართლის ნორმათა სტრუქტურას, ფუნქციას და განმარტების მეთოდებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს. განსაზღვრავს კონკრეტული სამართლებრივი დავის თავისებურებას და სამართლებრივი საშუალებით მისი გადაწყვეტის ოპტიმალურ გზებს.

II - აღწერს ადამიანის უფლებათა ძირითად სტანდარტებსა და პრინციპებს, ასევე უფლებების შეზღუდვის საფუძვლებს, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ საშუალებებს. განმარტავს სახელმწიფოს ცნებას და ფუნქციას, სახელმწიფო მოწყობის სისტემას, პრინციპებს, მათ შორის საქართველოში სახელმწიფო მოწყობის სპეციფიკას, მოდელს, კონსტიტუციური სამართლის ძირითად ასპექტებს, პრინციპებს, თეორიებს, საკონსტიტუციო კონტროლის როლსა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების თავისებურებებს. განსაზღრავს ადმინისტრაციული ორგანოს არსს, მისი საქმიანობის ფორმებს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების სპეციფიკას.

III - აღწერს კერძო სამართლის სისტემას, კერძო სამართლის სფეროში არსებულ თეორიებს, სამოქალაქო სამართლის ძირითად ცნებებსა და პრინციპებს, ასევე სანივთო სამართლის, ვალდებულებითი სამართლის, მათ შორის, სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების, საოჯახო სამართლის, ძირითად საკითხებსა და პრინციპებს. განმარტავს სამეწარმეო თავისუფლების მნიშვნელობასა და არსს, მისი დაცვის შიდა სახელმწიფოებრივ საშუალებებს, შრომის უფლებების დაცვის შიდა სახელმწიფოებრივ ინსტრუმენტებს, სამოქალაქო სამართალწარმოების სპეციფიკას.

IV - აღწერს სისხლის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს და ცნებებს, სისხლის სამართლის სფეროში არსებულ თეორიებს, დანაშაულის არსს, სახეებს, სისხლის სამართლის ცალკეულ დანაშაულთა სტრუქტურასა და თავისებურებებს, სასჯელთა სისტემას, სისხლის სამართალწარმოების სტადიებსა და სპეციფიკას.

V - აღწერს საერთაშორისო სამართლის სისტემასა და ფუნდამენტურ პრინციპებს, წყაროებს, საერთაშორისო სამართლებრივ-პოლიტიკურ ინსტიტუტებს, საერთაშორისო სამართლის როლს, მნიშვნელობას და მის მიმართებას ეროვნულ სამართალთან, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების ეროვნულ დონეზე გამოყენების თავისებურებებს. აღწერს საერთაშორისო სასამართლოებსა და ტრიბუნალებს, მათ შორის, მათ წესებს და პროცედურებს. საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტრუმენტებს.

უნარი

VI - აანალიზებს სამართლის ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს და ანალიზის შედეგად ადგენს ფაქტობრივ გარემოებებს და ახდენს მათ სამართლებრივ შეფასებას, კონკრეტულ სამართლებრივ დავაში ასაბუთებს პოზიციას, ახდენს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირებას და შეიმუშავებს მისი სტანდარტული/ახლებური სამართლებრივი საშუალებებით გადაჭრის გზებს, ადგენს დავის წარმართვის ან/და გადაწყვეტის სტრატეგიას კანონიერი სამართლებრივი საშუალებებით და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით.

VII - ადგენს სამართლებრივ დოკუმენტებს, მათ შორის კერძო სამართლის ხელშეკრულება/შეთანხმების, ადმინისტრაციული ხელშეკრულების, სამართალშეფარდებითი აქტების, საპროცესო დოკუმენტების, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების პროექტებს. ადგენს სარჩელს, საჩივარს. ასევე, შეიმუშავებს კვლევით ან პრაქტიკული პროექტებს, შესაბამისი მითითებებით.

VIII - სამართლის სფეროში ასაბუთებს საკუთარ პოზიციას, როგორც ზეპირი ისე წერილობითი ფორმით და სათანადო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

IX - მოიძიებს და აიდენტიფიცირებს იურისტისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ქართულ და ინგლისურ ენაზე, მათ შორის ეროვნული სამართლის წყაროებს, საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკასა და მეცნიერულ სიახლეებს, ელექტრონული საშუალებებით და სხვადასხვა მონაცემთა ბაზებისა თუ სპეციალური საინფორმაციო სისტემების გამოყენებით.

ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა

X - აღიარებს იურისტის პროფესიაში, ეთიკური ნორმების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, პატივს სცემს ადამიანის უფლებებსა და ცივილიზებული სამყაროს მიერ საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. პროფესიულ საქმიანობას

წარმართავს იურისტის ეთიკური და პროფესიული ნორმებისა და სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით.

XI - კოლეგიალურობის პრინციპების გათვალისწინებით, წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით. ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საჯარო სამართლის კონცენტრაციის დასრულების შემთხვევაში, კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ კომპეტენციებს:

I - განმარტავს საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართლის სისტემებს, სახელმწიფო მმართველობის ფორმების თავისებურებებს, დემოკრატიის ფორმებს.

II - აანალიზებს საჯარო სამართალში კაზუსის ამოხსნის სქემას, მეთოდებს, ახდენს სადავო ფაქტების შეფასებისა და ანალიზის, ასევე სადავო საკითხების გადაწყვეტისას ზოგადი და სპეციალური ნორმების გამოყენებას, აყალიბებს საკუთარ პოზიციას საჯარო-სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

III - აანალიზებს ადმინისტრაციული სამართალწამროებისათვის საჭირო პროცედურულ ნორმებს, აკეთებს დასაბუთებულ და არგუმენტირებულ დასკვნებს, ადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოებისთვის საჭირო სამართლებრივი დოკუმენტების პროექტებს, როგორიცაა სარჩელი, შესაგებელი, სააპელაციო საჩივარი/სააპელაციო შესაგებელი, საკასაციო საჩივარი/საკასაციო შესაგებელი და სხვა.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კერძო სამართლის კონცენტრაციის დასრულების შემთხვევაში, კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ კომპეტენციებს:

I - აღწერს საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართლის სისტემებსა და ძირითად ინსტიტუტებს, საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობასა და საუკეთესო პრაქტიკას სამოქალაქო სამართლის მიმართულებით.

II - ადგენს სამოქალაქო სამართალწარმოებისთვის საჭირო სამართლებრივი დოკუმენტების პროქტებს, როგორიცაა: სარჩელი, შესაგებელი, შეგებებული სარჩელი, საჩივარი, განცხადება, შუამდგომლობა და სხვა. განსაზღვრავს სამოქალაქო სამართალწარმოებისას მხარის როლსა და მნიშვნელობას, წარმოადგენს მხარის დასაბუთებულ პოზიციას.

III - ახდენს სამოქალაქო სამართლებრივი კაზუსის ამოხსნისა და გადაწყვეტის სტრუქტურის შეფასებას, სამართლებრივი ნორმების მოძიებასა და მათ ფაქტობრივ შემადგენლობასთან მისადაგებას, ადგენს სამოქალაქო სამართლებრივი კაზუსის ამოხსნის სტრატეგიას სამოქალაქო სამართლის ნორმებისა და იურიდიული ეთიკური სტანდარტების გათვალისწინებით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სისხლის სამართლის კონცენტრაციის დასრულების შემთხვევაში, კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ კომპეტენციებს:

I - აღწერს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ საკითხებს, როგორებიცაა საპროცესო შეთანხმება, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, აღკვეთის ღონისძიებები საერთაშორისო სტანდარტებთან ერთობლიობაში.

II - აყალიბებს კაზუსის ამოხსნის სტრუქტურას დანაშაულის გამოვლენის სხვადასხვა ფორმის მიხედვით. ადგენს სისხლის სამართლებრივი კაზუსის ამოხსნის სტრატეგიას სისხლის სამართლის ნორმების გამოყენებით.

III - ადგენს სისხლის სამართალწარმოებისათვის მნიშვნელოვან საპროცესო დოკუმენტების პროექტებს, როგორიცაა: შუამდგომლობა, ოქმი, საჩივარი, სააპელაციო/საკასაციო საჩივარი და სხვა. აგებს შესავალ და დასკვნით სიტყვას, ატარებს პირდაპირ და ჯვარედინ დაკითხვას, განსაზღვრავს სისხლის სამართალწარმოებისას მხარის როლსა და მნიშვნელობას, წარმოადგენს მხარის დასაბუთებულ პოზიციას, სისხლის სამართლის საპროცესო და იურიდიული ეთიკის ნორმათა გათვალისწინებით.

სამართლის საბაკალავრო საგანმაანათლებლო პროგრამის შემდეგ საერთაშორისო სამართლის კონცენტრაციის დასრულების შემთხვევაში, კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ კომპეტენციებს:

I - აღწერს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ძირითად მიდგომებს ევროპული სასამართლოს უახლესი პრეცედენტული სამართლის საფუძველზე, წარმოადგენს მხარის დასაბუთებულ პოზიციას.

II - აანალიზებს საერთაშორისო სასამართლოებსა და ტრიბუნალებში სამართალწარმოების წესებსა და პროცედურებს. განსაზღვრავს საერთაშორისო სასამართლოში სამართალწარმოების სპეციფიკურ საკითხებს, მხარის როლსა და მნიშვნელობას.

III - იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებს და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართალის სფეროში საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში. ადგენს საერთაშორისო სასამართლოში სამართალწარმოებასთან დაკავშიებული დოკუმენტების პროექტს.

პროგრამის სტრუქტურა

სამართლის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, მათ შორის:

თავისუფალი კომპონენტი, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, მათ შორის სავალდებულო თავისუფალი კომპონენტი - 30 კრედიტის მოცულობით და არჩევითი თავისუფალი კომპონენტი, რომლის ათვისებაც ხდება უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული სასწავლო კურსების გავლით, სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობის დაცვით - 24 კრედიტის მოცულობით.

ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები - 186 კრედიტის მოცულობით, მათ შორის, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 152 კრედიტის მოცულობით (იურიდიული პრაქტიკისთვის განკუთვნილი 10 კრედიტის ჩათვლით), ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 4 კრედიტის მოცულობით და კონცენტრაციის სასწავლო კურსები - 30 კრედიტის მოცულობით.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულია ოთხი კონცენტრაცია: საჯარო სამართალი, კერძო სამართალი, სისხლის სამართალი და საერთაშორისო სამართალი. შეთავაზებული ოთხი კონცენტრაციიდან სტუდენტი ირჩევს ერთ-ერთს. კონცენტრაციით განსაზღვრული კრედიტების მოცულობა სტუდენტმა უნდა აითვისოს სრულად.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რიგი სასწავლო კურსები ალტერნატიული სახით შეთავაზებულია ინგლისურ ენაზე, სტუდენტს აქვს მათი არჩევის შესაძლებლობა დადგენილი წინაპირობ(ებ)ის დაცვის შემთხვევაში. აღნიშნული სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობაა ინგლისური ენის ფლობა, სასწავლო კურსის „ინგლისური ენა იურისტებისთვის“ მითითებით (დაშვების სხვა წინაპირობებთან ერთად, ასეთის არსებობის შემთხვევაში), .

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მისაღები კვალიფიკაციის შესაბამისი

კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმ- დევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები, კომპონენტების თანმიმდევრობა, კომპონენტების კრედიტების სემესტრული განაწილება, სტუდენტის სემესტრული დატვირთვა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მეშვეობით განისაზღვრება სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამის კონკრეტულ შედეგებთან. საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის ცოდნის შეფასება დაფუძნებულია კრიტერიუმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ფლობს თუ არა სტუდენტი სასწავლო კურსით დადგენილ სწავლის შედეგებს.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება შეფასების კომპონენტებით, შუალედური შეფასებით და დასკვნითი შეფასებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 42 %, დასკვნითი გამოცდის შეფასების 50%+1. სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს დადგენილისგან განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხვნის შესაბამისად.

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით მიიღება 51 ქულა ან მეტი.

სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

დასაქმების სფერო

სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს სახელმწიფო ან კერძო სექტორში ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და კანონი არ ითხოვს სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარებას. დასაქმების პოტენციური სექტორებია სამინისტროები, საქართველოს პარლამენტი, საერთო სასამართლოები, საკონსტიტუციო სასამართლო, სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვადასხვა პროფილის კერძო კომპანიები და ორგანიზაციები, კერძო საადვოკატო ბიუროები, და ა.შ

ფინანსების სამაგისტრო პროგრამა

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №ე11-20. 30.09.2020

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:

ოქმი №4. დადგენილება №2, 02.10.2020

ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №ს2-24, 21.02.2024

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:

დადგენილება №4, 23.02.2024

განათლების საფეხური: მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების II საფეხური)

სწავლების ენა: ქართული ენა, მაგისტრანტს აქვს შესაძლებლობა რამდენიმე სასწავლო კურსს დაეუფლოს ინგლისურ ენაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური, ძირითადი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში/Master of Business Administration (MBA) in Finance

სწავლის ხანგრძლივობა: 2 წელი (4 სემესტრი)

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა: 120 (ECTS) კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი: მირზა ხიდაშელი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი.

ტელ.: (+995) 599 03 04 69

ელ- ფოსტა: mirza.khidasheli@unik.edu.ge

პროგრამის თანახელმძღვანელელი: გოჩა თუთბერიძე, ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი.

ტელ.: (+995) 599 10 00 36

ელ -ფოსტა: gocha.tutberidze@unik.edu.ge

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება:

ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამა-

გისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ან შიდა/გარე მობილობის საფუძველზე, ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობებია:

- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის საკითხები და გამოსაცდელ პირთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.unik.edu.ge) გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ სამი თვით ადრე.

- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში, სავალდებულოა ინგლისური ენის გამოცდის შედეგად დადასტურდეს ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა. ინგლისური ენის ცოდნის დონის დადგენა ხორციელდება „ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის "შესაბამისად. B2 დონის დადასტურება ასევე შესაძლებელია ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტით. ინგლისური ენის ცოდნის დონის შესაბამისობის დადგენისას სახელმძღვანელო ინფორმაცია:

ინგლისური ენა	CEFR B2
	IELTS exam – 5.5
	BEC exam and CELS exam – Vantage
	Cambridge exam – FCE
	TOEIC – 785
	TOEFL iBT – 72
	TOEFL ITP – 543

ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს კანდიდატის მიერ ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხური) დასრულება (საქართველოში ან საზღვარგარეთ). სავალდებულოა ზემოაღნიშნულის დოკუმენტურად დადასტურება.

პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას მოიპოვებენ:

პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის "შესაბამისად. პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული პირები არ თავისუფლდებიან შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებისგან (სპეციალობასა და ინგლისურ ენაში-B2 დონე).

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის მიზანი

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ქუთაისის უნივერსიტეტის მისიასა და ღირებულებებს. ასევე, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს და ადგილობრივი თუ უცხოური უნივერსიტეტების მიერ განხორციელებული ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო

პროგრამების გამოცდილებას. შესაბამისად, პროგრამა ითვალისწინებს ფინანსების სპეციალიზაციის მენეჯერის ან/და ბიზნესის სფეროს აკადემიური მკვლევარის მომზადებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებია კურსდამთავრებულს:

1. მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ფინანსების სფეროს უახლესი მიღწევების, კორპორაციათა ბიზნეს **გარემოსა** და სტრატეგიული მართვის კომპლექსური საკითხების შესახებ;

2. შესძინოს/გამოუმუშაოს სტრატეგიული და ინოვაციური აზროვნების, მათემატიკური, სტატისტიკური და ხარისხობრივი ანალიზის უნარები;

3. განუვითაროს აკადემიურ დონეზე კვლევის ორგანიზების, გაფორმებისა და წარმოდგენის. ასევე, გუნდური მუშაობის, ლიდერობისა და ეფექტიანი კომუნიკაციის უნარები;

4. ჩამოუყალიბოს ორგანიზაციის და საზოგადოების სოციალური, სამართლებრივი და ეთიკური პასუხისმგებლობის მიმართ მართებული დამოკიდებულებები. ასევე, დაკისრებული კომპეტენციების ფარგლებში თემატური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

სწავლის შედეგები

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

1. სიღრმისეულად აღწერს და განმარტავს ფინანსების სფეროსთან დაკავშირებულ თეორიებს, ფუნდამენტურ პრინციპებს, თანამედროვე კონცეფციებსა და უახლეს მიდგომებს.

2. ახდენს რაციონალური ფინანსური გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ძირითადი მეთოდებისა და ინსტრუმენტების ცოდნის დემონსტრირებას.

3. კომპლექსურად აფასებს ბიზნეს გარემოსა და გამოწვევებს, შეიმუშავებს სტრატეგიებს: პრობლემებზე, საფრთხეებსა და შესაძლებლობებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის.

4. იყენებს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს, ინსტრუმენტებს კომპლექსური ბიზნეს-ამოცანების გასაანლაიზებლად და გადასაწყვეტად.

5. იყენებს სტრატეგიულ, კომპლექსურ და ინოვაციურ მიდგომებს ფინანსების მართვასთან დაკავშირბეული გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლებიც უზრუნველყოფენ ღირებულების ზრდას საბაზრო გარემოში.

6. ორგანიზაციის მენეჯმენტის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით ახდენს ლიდერობის, გუნდური მუშაობის, ადამიანური რესურსების მართვისა და ეფექტიანი კომუნიკაციის ინსტრუმენტების, ასევე, პროექტების მართვის უნარების გამოყენებას.

7. ეფექტიანად იყენებს სამეცნიერო კვლევის მეთოდებს, რათა აკადემიურ დონეზე გამოიკვლიოს, გაანალიზოს, შეაჯამოს და გადმოსცეს შეხედულებები/პოზიციები და დასკვნები.

8. იღებს პასუხისმგებლობას და დამოუკიდებლად წყვეტს მასზე დაკისრებულ თემატურ საკითხებს და დამოუკიდებლად გეგმავს პროფესიულ განვითარებას.

9. აღიარებს, იცავს სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებს, პროფესიული და აკადემიური საქმიანობის წარმართვისას.

პროგრამის სტრუქტურა

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მთლიანი მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს. პროგრამა ითვალისწინებს:

- ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებს - 74 ECTS კრედიტის მოცულობით, მათ შორის:

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს - 62 ECTS კრედიტის მოცულობით.

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს - 12 ECTS კრედიტის მოცულობით, მათ შორის პროფესიულ პრაქტიკას - 8 ECTS კრედიტის მოცულობით;

- თავისუფალ კომპონენტს, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე - 21 ECTS კრედიტის მოცულობით, მათ შორის:

თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსებს - 14 ECTS კრედიტის მოცულობით;

თავისუფალი კომპონენტის არჩევით სასწავლო კურსებს, რომლის არჩევაც შესაძლებელია უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით - 7 ECTS კრედიტის მოცულობით;

- კვლევით კომპონენტს (სამაგისტრო ნაშრომი) – 25 ECTS კრედიტის მოცულობით.

პროფესიული პრაქტიკის გავლა სავალდებულოა ყველა მაგისტრანტისთვის გარდა იმ მაგისტრანტებისა, რომლებიც ბოლო სამი წლის მანძილზე, არანაკლებ 1 წელი დასაქმებულნი იყვნენ/არიან: ფინანსური ანალიტიკოსის, ფინანსური რისკების მენეჯერის, ინდივიდუალური ან კორპორატიული ბანკირის, ფინანსური მენეჯერის, ფინანსური კონსულტანტის ან ფინანსური პროფილის ორგანიზაციაში მენეჯერულ პოზიციაზე. ასეთი გამოცდილების მაგისტრანტებს უფლება აქვთ პროფესიული პრაქტიკა აითვისონ, როგორც არჩევითი კომპონენტი.

სტუდენტი, რომლისთვისაც სავალდებულოა პროფესიული პრაქტიკის კომპონენტის არჩევა, თავისუფლდება ძირითადი სწავლის სფეროს იმავე სემესტრში შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსებისგან.

თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი კრედიტების ათვისება შესაძლებელია ამავე საგანმანთლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებით.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო/კვლევითი კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევაზე, აღნიშნული განსაზღვრავს სამაგისტრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურასა და სასწავლო გეგმას. ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პროგრამის სასწავლო გეგმით დადგენილია პროგრამის კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები, კომპონენტების თანმიმდევრობა, კომპონენტების კრედიტების სემესტრული განაწილება, სტუდენტის სემესტრული დატვირთვა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მეშვეობით განისაზღვრება სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამის კონკრეტულ შედეგებთან. ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის ცოდნის შეფასება დაფუძნებულია კრიტერიუმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ფლობს თუ არა სტუდენტი სასწავლო კურსითგანსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება შეფასების ფორმებით, შუალედური შეფასებით და დასკვნითი შეფასებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების

51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 42 %, დასკვნითი გამოცდის შეფასების 50%+1. სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს დადგენილისგან განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური
და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხვნის შესაბამისად.

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარის და

დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით მიიღება 51 ქულა ან მეტი.

დასაქმების სფერო

კურსდამთავრებულს შეუძლია წარმატებით გაართვას თავი ფინანსების მიმართულების მართვასა და ანალიტიკას, როგორც ლოკალური ასევე მულტინაციონალური ბიზნესის შემთხვევაში, კერძოდ:

- ბიზნესისა და ფინანსების მართვა;
- ფინანსური ანალიზი, შეფასება და პროგნოზირება;
- ბიზნესის აკადმეიურ დონეზე კვლევა.

აღრიცხვა და აუდიტი

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №ე14-21, 19.02.2021

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით:

დადგენილება №2, 12.03.2021

ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №ს5-24, 22.04.2024

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:

დადგენილება №7, 23.04.2024

განათლების საფეხური: მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების II საფეხური)

სწავლების ენა: ქართული ენა, მაგისტრანტს აქვს შესაძლებლობა რამდენიმე სასწავლო კურსს დაეუფლოს ინგლისურ ენაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური, ძირითადი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0411 აღრიცხვა და დაბეგვრა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი აღრიცხვასა და დაბეგვრაში / Master of Business Administration (MBA) in Accounting and Taxation

სწავლის ხანგრძლივობა: 2 წელი (4 სემესტრი)

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა: 120 (ECTS) კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: პანტელეიმონ კლდიაშვილი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი.

ტელ.: (+995) 599 56 16 42;

ელ. ფოსტა: panteleimon.kldiashvili@unik.edu.ge

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება:

ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ან შიდა/გარე მობილობის საფუძველზე, ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისშესაბამისად.

საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობებია:

- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის საკითხები და გამოსაცდელ პირთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.unik.edu.ge) გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ სამი თვით ადრე.
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში, სავალდებულოა ინგლისური ენის გამოცდის შედეგად დადასტურდეს ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა. ინგლისური ენის ცოდნის დონის დადგენა

ხორციელდება „ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად. B2 დონის დადასტურება ასევე შესაძლებელია ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტით. ინგლისური ენის ცოდნის დონის შესაბამისობის დადგენისას სახელმძღვანელო ინფორმაცია:

ინგლისური ენა	CEFR B2
	IELTS exam – 5.5
	BEC exam and CELS exam – Vantage
	Cambridge exam – FCE
	TOEIC – 785
	TOEFL iBT – 72
	TOEFL ITP – 543

ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს კანდიდატის მიერ ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხური) დასრულება (საქართველოში ან საზღვარგარეთ). სავალდებულოა ზემოაღნიშნულის დოკუმენტურად დადასტურება.

პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას მოიპოვებენ:

პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ “საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად. პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული პირები არ თავისუფლდებიან შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებისგან (სპეციალობასა და ინგლისურ ენაში-B2 დონე).

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმან•ათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის მიზანი

საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

1. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროსათვის, ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე კადრების მომზადება, რომლებიც სრულად წვდებიან და აცნობიერებენ პროფესიული ღირებულებების არსს;

2. თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც დამოუკიდებლად აფასებენ ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის მთლიან სიტემას და სახავენ გზებს მათი ეფექტიანობის და ოპერატიულობის გაზრდისათვის; ფლობენ ფინანსური და

მმართველობითი აღრიცხვის სისტემების შექმნის და გამართული ფუნქციონირების, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა-ჩატარების ტექნიკას; იყენებენ ბიზნესის კვლევის თანამედროვე მეთოდებს და შეუძლიათ ბიზნესის ეფექტიანი მართვისათვის საჭირო სტრატეგიული და ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღება;

3. პროფესიონალების მომზადება, რომლებსაც შეუძლიათ საინფორმაციო სისტემების (ელექტრონული პროგრამების) ეფექტიანი გამოყენება, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის წარმოების, აუდიტორული შემოწმების დაგეგმვა-ჩატარების პროცესში.

სწავლის შედეგები

საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება:

1. სრულყოფილად აღწერს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების და სხვა მარეგულირებელი საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს, რომლებიც ადგენენ პროფესიული საქმიანობის განხორციელების წესებს;

2. ხსნის ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მიმდინარე პროცესებს, ასევე ახდენს აღრიცხვისა და აუდიტის მიმართულებით მოქმედი მარეგულირებელი ნორმების ინტერპრეტირებას და გამოყენებას, პრაქტიკული საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირების, გაანალიზებისა და გადაჭრისათვის.

უნარი:

3. ამზადებს ფინანსურ, მმართველობით და საგადასახადო ანგარიშგებებს შესაბამისი სტანდარტების და მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნების დაცვით, მ.შ. თანამედროვე ელექტრონული პროგრამების საშუალებით და ასაბუთებს მმართველობით გადაწყვეტილებებს სათანადო მეთოდების გამოყენებით;

4. ადგენს ორგანიზაციის საქმიანობის ცალკეული მიმართულებების ან/და მთლიანად ორგანიზაციის აუდიტის გეგმას და პროგრამას შესაბამისი სტანდარტების მოთხოვნების დაცვით კერძო და საჯარო სექტორში, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების შეჯამების შედეგად კი აყალიბებს აუდიტორის მოსაზრებას;

5. აანალიზებს ბიზნესში მიმდინარე პროცესებს, ტენდენციებს და ახდენს ფინანსური მაჩვენებლების განვითარების პროგნოზირებას. იღებს ბიზნესის მართვასთან დაკავშირებულ სტრატეგიულ და ტაქტიკურ გადაწყვეტილებებს;

6. ახდენს პირველადი სააღრიცხვო მონაცემების განზოგადებას შესაბამის ანგარიშგებაში და მათზე დაყრდნობით გამოაქვს სათანადო დასკვნები, ასევე აყალიბებს და მართავს შიდა კონტროლის/აუდიტის სისტემას ბიზნეს ორგანიზაციაში;

7. აფასებს, ერთი მხრივ კონკრეტული სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის შედეგებს, მის ფინანსურ მდგომარეობას, გადახდისუნარიანობას და ლიკვიდურობას, ასევე საინვესტიციო ალტერნატივებს თანამედროვე მეცნიერული მეთოდების გამოყენებით, ხოლო მეორე მხრივ, აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში მიმდინარე მოვლენებს და აკეთებს სათანადო დასკვნებს;

8. ორგანიზებას უკეთებს ცალკეული პროფესიული საკითხების კვლევას და ახდენს საკუთარი და სხვისი კვლევის შედეგების კომპილაციას;

9. იღებს და გადასცემს წერითი, ზეპირი და ელექტრონული ფორმით სხვადასხვა სახის საფინანსო-სააღრიცხვო ინფორმაციას, მსჯელობს პროფესიულ საკითხებზე, ფლობს დისკუსია/დებატებში მონაწილეობის, საჯარო გამოსვლის და მეცნიერული მეტყველების უნარს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

10. აღიარებს და იცავს სფეროში დადგენილ პროფესიულ ღირებულებებს და ეთიკურ ნორმებს, როგორც პრაქტიკულ საქმიანობაში, ისე კვლევის პროცესში;

11. ითვისებს პროფესიულ სიახლეებს და დამოუკიდებლად წარმართავს სწავლის პროცესს.

პროგრამის სტრუქტურა

საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მთლიანი მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს. პროგრამა ითვალისწინებს:

- ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებს - 81 ECTS კრედიტის მოცულობით, მათ შორის:

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს - 73 ECTS კრედიტის მოცულობით;

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს (მათ შორის პროფესიულ პრაქტიკას) - 8 ECTS კრედიტის მოცულობით;

- თავისუფალ კომპონენტს, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე - 14 ECTS კრედიტის მოცულობით, მათ შორის:

თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსებს - 9 ECTS კრედიტის მოცულობით;

თავისუფალი კომპონენტის არჩევით სასწავლო კურსებს, რომლის არჩევაც შესაძლებელია უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით - 5 ECTS კრედიტის მოცულობით;

- კვლევით კომპონენტს (სამაგისტრო ნაშრომი) – 25 ECTS კრედიტის მოცულობით.

პროფესიული პრაქტიკის გავლა სავალდებულოა ყველა მაგისტრანტისთვის გარდა იმ მაგისტრანტებისა, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში, არანაკლებ ერთი წელი დასაქმებულები იყვნენ/არიან, ბუღალტრად, ფინანსურ მენეჯერად, აუდიტორად, აუდიტორული კომპანიის სპეციალისტად. ასეთ მაგისტრანტებს უფლება აქვთ სურვილის შემთხვევაში პროფესიული პრაქტიკა აითვისონ როგორც არჩევითი კომპონენტი. სტუდენტი, რომლისთვისაც სავალდებულოა პროფესიული პრაქტიკის კომპონენტის არჩევა, თავისუფლდება ძირითადი სწავლის სფეროს სხვა არჩევითი სასწავლო კურსებისგან.

თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი კრედიტების ათვისება შესაძლებელია ამავე საგანმანთლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებით.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო/კვლევითი კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევაზე, აღნიშნული განსაზღვრავს სამაგისტრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურასა და სასწავლო გეგმას. საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პროგრამის სასწავლო გეგმით დადგენილია პროგრამის კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები, კომპონენტების თანმიმდევრობა, კომპონენტების კრედიტების სემესტრული განაწილება, სტუდენტის სემესტრული დატვირთვა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მეშვეობით განისაზღვრება სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამის კონკრეტულ შედეგებთან.

საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის ცოდნის შეფასება დაფუძნებულია კრიტერიუმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ფლობს თუ არა სტუდენტი სასწავლო კურსით დადგენილ სწავლის შედეგებს.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება შეფასების კომპონენტებით, შუალედური შეფასებით და დასკვნითი შეფასებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 42 %, დასკვნითი გამოცდის შეფასების 50%+1. სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს დადგენილისგან განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხვნის

შესაბამისად.

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით მიიღება 51 ქულა ან მეტი.

სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

დასაქმების სფერო

პროგრამის კურსდამთავრებულს წარმატებით შეეძლება დასაქმება საშუალო და მაღალი (სათანადო პრაქტიკული გამოცდილების მიღების შემდეგ) დონის მმართველობით რგოლებში, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორებში, ბიზნეს ორგანიზაციებში, არასამთავრობო სექტორში, სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში და ა.შ. კერძოდ:

- ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომპანიების ეკონომიკურ, ფინანსურ და ანალიზის სამსახურებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე;
- სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების საფინანსო, საგადასახადო და საკონტროლო-სარევიზიო სამსახურებში;
- აუდიტორულ და ბიზნეს საკონსულტაციო ფირმებში;
- შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო ორგანიზაციებში;
- საერთაშორისო და ტრანსნაციონალური კომპანიების საფინანსო და საბუღალტრო აღრიცხვის სამსახურებში;
- სხვადასხვა სახის ფინანსური ინსტიტუტების საკრედიტო და საბუღალტრო აღრიცხვის სამსახურებში და სხვა.

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

დიპლომირებული მედიკოსი

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:
ოქმი №მ13-21, 29.06.2021
დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით:
დადგენილება №5, 16.08.2021

ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:
ოქმი № მ 03–24, 15.04.2024
დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:
დადგენილება №7, 23.04.2024

განათლების საფეხური: ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

სწავლების ენა: ინგლისური ენა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური, ძირითადი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0912 მედიცინა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი / Medical Doctor (MD)

სწავლის ხანგრძლივობა: 6 წელი (12 სემესტრი)

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა: 360 (ECTS) კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:

ზაზა ავალიანი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი. ელ.ფოსტა: zaza.avaliani@unik.edu.ge

თინათინ გოგნაძე, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი. ელ.ფოსტა: tinatin.gognadze@unik.edu.ge

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება:

სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ქუთაისის უნივერსიტეტში.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია ჩააბაროს შემდეგი საგნები:

ა) ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა (მინიმალური ბარიერი 80%), ბიოლოგია.

ბ) ერთ-ერთი შემდეგი საგანი: ქიმია/მათემატიკა/ფიზიკა. თითოეული საგნისათვის გამოყოფილი კვოტირებული ადგილებია - 40%, 30%, 30%.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას მოპოვებენ:

პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის
29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ინგლისური ენის B1 დონეზე ფლობა „ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის მიზანი

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი პროფესიონალის მომზადებას, რომელიც: ფლობს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს (1); ხელმძღვანელობს მტკიცებითი მედიცინის პრინციპებით (2); იყენებს კვლევისა და კომუნიკაციის უნარებს (3); იზიარებს ეთიკის ნორმებსა და პრინციპებს (4); პროფესიულად ვითარდება მუდმივად ცვალებად გარემოში (5).

სწავლის შედეგები

1. დარგობრივი ცოდნა	• სიღრმისეულად იცის ბიოსამედიცინო, ქცევითი, კლინიკური და სოციალური დისციპლინები; • აღწერს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პრინციპებს; • აღწერს ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და ავადობის პრევენციას; • აღწერს სამედიცინო პრაქტიკის ეთიკურ და ლეგალურ პრინციპებს; • აანალიზებს ექიმის როლს ჯანდაცვის სისტემაში.
2. პაციენტისათვის კონსულტაციის გაწევა	• კრებს ანამნეზს; • ატარებს ფიზიკურ გამოკვლევას; • აფასებს პაციენტის ფსიქოემოციური მდგომარეობის სტატუსს; • იღებს ვალიდურ კლინიკურ გადაწყვეტილებებს; • აძლევს პაციენტებს რჩევებს და განმარტებებს, აღმოუჩენს მათ მხარდაჭერას.
3. კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა	• აფასებს დაავადების კლინიკური მანიფესტაციის სირთულეს, ახდენს მათ იდენტიფიცირებას; • ნიშნავს შესაბამის გამოკვლევებს, ახდენს შედეგების ინტერპრეტაციას; • ატარებს დიფერენციულ დიაგნოზს; • განიხილავს დაავადების მართვის გეგმას პაციენტებსა და მათ მომვლელებთან; • ადგენს პაციენტის მდგომარეობის მართვის გეგმას, პაციენტთან და მის გარემოცვასთან კოლაბორაციით; • ზრუნავს ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტსა და მის

	გარემოცვაზე; • მართავს ქრონიკულ დაავადებებს.
4. გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის დროს დახმარების გაწევა (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებების გატარება)	• ახდენს გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების ამოცნობას და შეფასებას; • უწევს ბაზისურ პირველად დახმარებას, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით (ბავშვებს, ხანდაზმულებს); • ანხორციელებს ბაზისურ სიცოცხლის შემანარჩუნებელ ღონისძიებებს აქტუალური სახელმძღვანელო პრინციპების (გაიდლაინების) შესაბამისად; • ატარებს აქტუალური სახელმძღვანელო პრინციპების (გაიდლაინების) შესაბამის გაფართოებულ სიცოცხლის შემანარჩუნებელ ღონისძიებებს; • მკურნალობს ტრავმებს აქტუალური გაიდლაინების შესაბამისად.
5. მედიკამენტების გამოწერა	• ნიშნავს მედიკამენტებს ნათლად და მართებულად, პაციენტის ასაკის გათვალისწინებით; • არჩევს წამლებს კლინიკურ კონტექსტთან შესაბამისად; • აფასებს პოტენციური სარგებლისა და რისკის მიხედვით მედიკამენტებისა და სხვა მკურნალობების შესაბამისობას; • მართავს ტკივილს და დისტრესს; • მკურნალობის დანიშვნისას აანალიზებს მედიკამენტების თავსებადობასა და ურთიერთქმედებას.
6. პრაქტიკული პროცედურების ჩატარება	• აფასებს სასიცოცხლო ნიშნებს: პულსს, სუნთქვას, ტემპერატურას; • ზომავს წნევას; • ზომავს სატურაციას; • სწორად იბანს ხელს; სწორად იცვამს ხელთათმანს; • აკეთებს პერიფერიული ვენის ვენოპუნქტურას (სიმულატორის გამოყენებით); • აკეთებს პერიფერიული ვენის კათეტერიზაციას (სიმულატორის გამოყენებით); • აკეთებს სამკურნალო საშუალების ვენაში შეყვანას საინფუზიო მოწყობილობის საშუალებით (სიმულატორის გამოყენებით); • აკეთებს ინექციას კანქვეშ ან/და კუნთში (სიმულატორის გამოყენებით ან პაციენტზე, ზედამხედველობის ქვეშ); • აწვდის ჟანგბადს; • აღწერს პაციენტის ტრანსპორტირების და მათთან მოპყრობის ტექნიკას; • ადებს ნაკერს (სიმულატორის გამოყენებით); • ამუშავებს ჭრილობას და ადებს ნახვევს; • აკეთებს შარდის ბუშტის კათეტერიზაციას (სიმულატორის გამოყენებით);

	• აღწერს შარდის ანალიზის აღების ტექნიკას; • იღებს ელექტროკარდიოგრამას; • ახდენს ელექტროკარდიოგრამის ინტერპრეტაციას; • ატარებს სასუნთქი სისტემის ფუნქციურ ტესტებს; • სწორად იყენებს საინჰალაციო პრეპარატებს.
7. სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაცია	• ეფექტურად ამყარებს კომუნიკაციას პაციენტთან; • ეფექტურად ამყარებს კომუნიკაციას კოლეგებთან; • ეფექტურად ახორციელებს კომუნიკაციას ცუდი ამბის შეტყობინებისას; • ეფექტურად ამყარებს კომუნიკაციას პაციენტის გარემოცვასთან; • ეფექტურად ახორციელებს კომუნიკაციას შეზღუდული უნარების მქონე პირებთან; • ეფექტურად ახორციელებს კომუნიკაციას ინფორმირებული თანხმობის მიღების მიზნით; • აწარმოებს წერილობით კომუნიკაციას (მათ შორის სამედიცინო ჩანაწერების წარმოება); • უმკლავდება აგრესიულ და კონფლიქტურ სიტუაციებს შესაბამისი კომუნიკაციის საშუალებით; • ეფექტურად ახორციელებს კომუნიკაციას პაციენტებთან დამხმარე პირის საშუალებით; • საჭიროებისამებრ ამყარებს სათანადო კომუნიკაციას სამართალდამცავ ორგანოებსა და მასმედიასთან; • ამყარებს კომუნიკაციას ნებისმიერ პირთან, მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური და ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად.
8. სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება	• იცავს კონფიდენციალურობას; • მკურნალობის დროს იყენებს ეთიკურ პრინციპებსა და ანალიტიკურ უნარებს; • ახდენს ინფორმირებული თანხმობის მიღებას საჭიროების შემთხვევაში და აკეთებს შესაბამის ჩანაწერს; • გასცემს სიკვდილის ცნობას; • საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ითხოვს ავტოფსიის ჩატარებას; • მკურნალობისას იყენებს საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის მოქმედ ნორმებს; • ეფექტურად წარმართავს სამედიცინო საქმიანობას მულტიკულტურულ საზოგადოებაში.
9. პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და	• აფასებს დაავადების გამოვლინებისა და მისი პაციენტზე ზემოქმედების ფსიქოლოგიურ ფაქტორებს; • აფასებს დაავადების გამოვლინებისა და მისი პაციენტზე ზემოქმედების

სოციალური ასპექტების შეფასება	სოციალურ ფაქტორებს; • ადგენს დაავადებასთან დაკავშირებულ სტრესს; • ადგენს წამალსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულებას.
10.მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება	• იყენებს მტკიცებულებებს საექიმო საქმიანობაში; • სწორად განსაზღვრავს და ატარებს ლიტერატურულ კვლევას; • კრიტიკულად აფასებს გამოქვეყნებულ ლიტერატურას. სწორად გამოაქვს დასკვნები და იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.
11. სამედიცინო კონტექსტში უახლესი ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება	• სათანადოდ აწარმოებს კლინიკურ ჩანაწერებს და ინახავს სრული სახით; • იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს სამედიცინო პრაქტიკის ფარგლებში; • ახდენს სპეციფიკური საინფორმაციო რესურსების მოძიებას; • ახდენს ინფორმაციის შენახვას და იყენებს შემდგომში შესაბამისად; • სათანადოდ აწარმოებს და იყენებს პირად ჩანაწერებს.
12. სამეცნიერო პრაქტიკისა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება	• სათანადოდ იყენებს სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიას; • შეიმუშავებს კვლევის დიზაინს, გეგმავს დეტალურად, ამუშავებს მიღებულ შედეგებს და აკეთებს დასკვნებს; • იყენებს ბიოსამედიცინო მეცნიერებების მიღწევებს პრაქტიკულ საქმიანობაში; • აკადემიურ დონეზე წერს მიმოხილვებს/მოხსენებებს ბიოსამედიცინო სფეროში არსებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე; • იყენებს სამეცნიერო კვლევის წარმოების ეთიკურ პრინციპებს.
13.ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართულობა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტურად მუშაობა	• ირჩევს მკურნალობას პაციენტისათვის ზიანის მიყენების მინიმალური რისკით; • იღებს სათანადო ზომებს ინფექციის გავრცელების პრევენციისათვის; • ადეკვატურად აფასებს საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემებს პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებაში; • აანალიზებს ჯანდაცვის ხელშემწყობ ღონისძიებებში ჩართულობის მნიშვნელობას ინდივიდისა და პოპულაციის დონეზე.
14. პროფესიონალიზმი	პროფესიონალიზმის ზოგადი მასახასიათებლები: • იცავს მიუკერძოებელობის, კეთილსინდისიერების და ეთიკის პრინციპებს; • ანხორციელებს სამედიცინო საქმიანობას სათანადო ხარისხით; • გამოხატავს კრიტიკულ და თვით-კრიტიკულ დამოკიდებულებას, იღებს კრიტიკას; • გამოხატავს ემპათიას (თანაგრძნობა);

	• ავლენს კრეატიულობას; • ავლენს ინიციატივას, გამოხატავს წარმატებულობის სურვილს; • ახდენს ცოდნის მუდმივი განახლების უნარის დემონსტრირებას; • ავლენს ინტერპერსონალურ უნარებს; • ახდენს ჯგუფური მუშაობის უნარის დემონსტრირებას. პროფესიონალიზმი საქმიანობაში: • აანალიზებს საკუთარი შესაძლებლობების საზღვრებს ითხოვს დახმარებას (საჭიროებისამებრ); • ავლენს ლიდერობის უნარს; • მოქმედებს დამოუკიდებლად საჭიროებისამებრ; • ჭრის პრობლმებს; • იღებს გადაწყვეტილებებს; • მუშაობს მულტიდისციპლინურ გუნდში; • ამყარებს კომუნიკაციას სხვა დისციპლინების ექსპერტებთან; • ადაპტირდება ახალ სიტუაციებთან; • გეგმავს და მართავს ორგანიზაციულ პროცესებს, ეფექტურად მართავს დროს. ექიმი, როგორც ექსპერტი: • აანალიზებს და გამოაქვს დასკვნა; • ახდენს სწავლის და სხვისი სწავლების უნარების დემონსტრირებას; • ახდენს ცოდნის დემოსნსტრირებას პრაქტიკულ საქმიანობაში; • ავლენს სამეცნიერო-კვლევით უნარებს; ექიმი გლობალურ კონტექსტში: • აქვს უნარი იმუშაოს მულტიკულტურულ საზოგადოებაში გააცნობიეროს მათი მრავალფეროვნება; • ახდენს სხვა ქვეყნების კულტურისა და მასთან დაკავშირებული თავისებურებების მიმართ პატივისცემის დემონსტრირებას; • მუშაობს საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით; • ფლობს მეორე ენას; • აქვს ზოგადი ცოდნა, სამედიცინო სფეროს მიღმა.

პროგრამის სტრუქტურა

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა ნაწილობრივ ინტეგრირებულია. ინტეგრირებული პროგრამის ძირითადი მახასიათებელია საბაზისო და კლინიკური

საგნების ვერტიკალური და/ან ჰორიზონტალური ინტეგრაცია.

ვერტიკალური ინტეგრაცია გულისხმობს საბაზისო და კლინიკური საგნების გაერთიანებას ერთ კურიკულუმში სისტემის და/ან სინდრომის მიხედვით. ჰორიზონტალური ინტეგრაციისას გაერთიანება ეხება მომიჯნავე საგნებს

საბაზისო ან კლინიკურ ასპექტში, როდესაც გაერთიანება ხდება ძირითადად სისტემის გარშემო. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სტუდენტისათვის არა მხოლოდ სტატიკური ცოდნის მიცემას, არამედ მოქნილი კლინიკური აზროვნების ჩამოყალიბებას. ინტეგრირებული და ნახევრად ინტეგრირებული პროგრამა ქმნის კურიკულუმს, რომელიც ეხმარება სტუდენტს კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებასა და თვითგანვითარების გზის განსაზღვრაში.

ინტეგრირებულ პროგრამაში ინფორმაციის სხვადასხვა წყაროები სხვადასხვა დომენებიდან იკვეთება გაერთიანებული კონცეფციის სასარგებლოდ. ეს კი, თავის მხრივ, ეხმარება სტუდენტს, გააერთიანოს სხვადასხვა წყაროდან მიღებული ცოდნა და უნარები რეალური კლინიკური სიტუაციის ჭრილში.

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში, ნაწილობრივი ინტეგრაციის ფარგლებში მოხდა მომიჯნავე ბაზისური სასწავლო კურსების გაერთიანება ადამიანის სხეულის სისტემების გარშემო. ამავე სასწავლო კურსებში ჩაიდო კლინიკური შემთხვევების წარდგენისა და ანალიზის ნაწილებიც, რაც ემსახურება განათლების პროცესის დასაწყისშივე სტუდენტის რეალურ კლინიკურ პრაქტიკასთან დაახლოებას. კლინიკური სასწავლო კურსების გაერთიანება კი მოხდა

ძირითადი მიმართულებების გარშემო, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის სისტემურ აზროვნებას კლინიკურ ასპექტში.

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ძრითადი სწავლის სფეროსა და თავისუფალ კომპონენტებს, კერძოდ:

- ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტებს 330 კრედიტის მოცულობით. მათ შორის:

  ა) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტებს 320 კრედიტის მოცულობით (მათ შორის კვლევით კომპონენტს ეთმობა 10 კრედიტი, ხოლო 28 კრედიტი - კლინიკური უნარების ცენტრში/ლაბორატორიაში სწავლებას);

  ბ) ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს 10 კრედიტის მოცულობით;

- საგანმანათლებლო პროგრამა ასევე ითვალისწინებს თავისუფალ კომპონენტს 30 კრედიტის მოცულობით, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, მათ შორის:

  ა) სავალდებულო თავისუფალ კომპონენტს 16 კრედიტის მოცულობით;

  ბ) არჩევით თავისუფალ კომპონენტს 14 კრედიტის მოცულობით, რომელსაც სტუდენტი ითვისებს პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსებით.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა იყოფა 4 ფაზად:

I ფაზა - მედიცინის საფუძვლები (I-II კურსი)

მედიცინის საფუძვლების ფაზა მოიცავს ჰორიზონტალურ ინტეგრირებულ მოდულებს: ადამიანის სხეული I, II, III - რომლებიც მოიცავს ძვალ-სახსროვანი, გულსისხლძარღვთა, რესპირატორული, საჭმლის მომნელებელი, ენდოკრინული და შარდ-სასქესო სისტემის ანატომიის, ჰისტოლოგია/ემბრილოგია და რადიოლოგიის საკითხებს და სტუდენტს აძლევს ცოდნას აღნიშნული სისტემების აგებულების, ფუნქციონირების და რადიოლოგიური სურათის შესახებ. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების საფუძვლებში I, II, III, IV - ინტეგრირებულია სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები: ბიოქიმია, უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგია, გენეტიკა, ფიზიოლოგია, ბიოფიზიკა, იმუნოლოგია და მიკრობიოლოგია. ამავე ფაზაში სტუდენტი ეუფლება ნეიროანატომიას, ნეიროფიზიოლოგიასა და ქცევათმეცნიერებას ინტეგრირებულ მოდულში ტვინი, გონება და ქცევა. კლინიკური და პროფესიული უნარები I, II, III, IV - მოდულების ფარგლებში პროგრამის პირველივე სემესტრიდან გათვალისწინებულია კლინიკური პრაქტიკა, პაციენტთან კომუნიკაციის გაცნობითა და პრაქტიკული

უნარების შესწავლით. ინტეგრირებული მოდულების ფარგლებში მედიცინა და საზოგადოება I, II და სამეცნიერო მსჯელობა I, II სტუდენტი პირველივე ფაზაში ეცნობა საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სამეცნიერო კვლევითი უნარების საფუძვლებს. მიღებული ცოდნა ამზადებს სტუდენტებს კლინიკური საგნების სრულფასოვნად აღქმისაკენ, რომლებიც პროგრამაში შემდეგი წლიდან იწყება. აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლება განხორციელდება სწავლება-სწავლის სხვადასხვა მეთოდებით და აქტივობებით (ლექციები, PBL, როლური თამაშები, პრაქტიკული მუშაობა, სწავლება სიმულატორების გამოყენებით, ლაბორატორიული მუშაობა და სხვ.). რეგიონულ ანატომიას სტუდენტები შეისწავლიან ვირტუალური დისექციის და მანეკენების გამოყენების მეშვეობით.

II ფაზა - ჯანმრთელობის და ავადობის მექანიზმები (III კურსი)

პრეკლინიკური სწავლების ეტაპზე ძირითადი ყურადღება ეთმობა ადამიანის ავადობასთან დაკავშირებული ისეთი ასპექტების განხილვას, როგორიცაა პათოლოგია, დაავადებათა განვითარებისა და მკურნალობის მექანიზმები. ამასთან, სტუდენტები სწავლობენ დიაგნოსტიკურ აზროვნებას სხვადასხვა სამედიცინო მიმართულებით შემთხვევების განხილვის გზით და სრულყოფენ ფიზიკური გასინჯვის უნარებს ინტეგრირებული მოდულების ფარგლებში: დაავადებისა და მკურნალობის საფუძვლები I, II (პათოლოგიის საფუძვლები, ფარმაკოლოგიის საფუძვლები). კლინიკური დიაგნოსტიკის შესავალი I, II - ფიზიკური დიაგნოსტიკა, კლინიკური უნარები. კლინიკური და პროფესიული უნარების გრძივი მოდულის ფარგლებში სტუდენტები ერთვებიან კლინიკური პრობლების გადაჭრის პროცესში, რაც თავის მხრივ ხორციელდება სხვადასხვა კლინიკური სცენარების გზით (კლინიკური აზროვნების კურსი). აღნიშნული მეთოდით ძირითადი აქცენტი კეთდება სტუდენტების მიერ ინფორმაციის სიღრმისეულ ანალიზსა დასინთეზზე, ასევე მის პრაქტიკულ გამოყენებაზე კლინიკურ კონტექსტში.

III ფაზა - ძირითადი კლინიკური ფაზა (IV-V კურსი)

IV და V კურსების განმავლობაში სტუდენტები სწავლობენ კლინიკური როტაციების სახით ძირითად კლინიკურ საგნებს - შინაგანი მედიცინა (სისტემაზე დაფუძნებული), ქირურგია, მეანობა და გინეკოლოგია, გადაუდებელი მედიცინა, პედიატრია, ფსიქიატრია, რადიოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია და სხვ. ამის პარალელურად, სტუდენტები აგრძელებენ კლინიკური და პროფესიული უნარების შესწავლას, რომელიც მოიცავს პროფესიული ქცევის სრულყოფას სიმულაციურ ცენტრსა და კლინიკურ გარემოში. აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლება ხდება როგორც ამბულატორიულ, ასევე კლინიკურ გარემოში.

IV ფაზა - კლინიკური ფაზის დასკვნითი საფეხური (VI კურსი)

VI, დამამთავრებელი კურსის განმავლობაში, სტუდენტები განამტიცებენ და სრულყოფენ კომპეტენციებს შინაგან მედიცინაში, ქირურგიაში, მეანობა-გინეკოლოგიაში, საოჯახო მედიცინაში, გერიატრიასა და გადუდებელ მედიცინაში. სპირალური კურიკულუმის მოთხოვნებისა და ინტეგრაციის პრინციპების თანახმად, დამამთავრებელი კურსების მოდულების ფარგლებში ხდება საბაზისო საგნების (მაგ: ფარმაკოლოგია და სამედიცინო გენეტიკა) გადახედვა. ამავე კურსის ფარგლებში, სტუდენტების მცირე ჯგუფს ეძლევა სხვადასხვა ამბულატორიული და ჰოსპიტალური კლინიკური დავალება, რომელთა შესრულებაც ამზადებს დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს მომავალი სპეციალიზაციისა დადიპლომისშემდგომი სარეზიდენტო პროგრამისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები, კომპონენტების კრედიტების მოცულობა, წინაპირობები და სემესტრების მიხედვით კომპონენტების განაწილება განსაზღვრულია დანართით პროგრამის სასწავლო გეგმა (იხ. პროგრამის დანართი №4 - პროგრამის სასწავლო გეგმა).

შეფასების სისტემა, შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები

შეფასების მეშვეობით განისაზღვრება სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამის კონკრეტულ შედეგებთან. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის ცოდნის შეფასება

დაფუძნებულია კრიტერიუმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ფლობს თუ არა სტუდენტი სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.
პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება შეფასების ფორმებით, შუალედური შეფასებით და დასკვნითი შეფასებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი –71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი –61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა –41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კური/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

საბოლოო შეფასებაში დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილია 40 % (40 ქულა), შესაბამისად, შუალედური შეფასების ხვედრითი წილია საბოლოო შეფასების 60% (60 ქულა).

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომელიც ტარდება მე-8 -9 კვირაში (კურაციული სწავლების დროს შუალედური გამოცდის პერიოდი დაკონკრეტებულია შესაბამის სასწავლო კურსის სილაბუსში). შუალედური შეფასების კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში.
დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის

ზღვარი: შუალედური შეფასების 50% (დასკვნით გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტის შუალედური შეფასება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 30 ქულას), დასკვნითი გამოცდის შეფასების 50%+1 (იმისათვის, რომ დასკვნითი გამოცდა ჩაითვალოს ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის შეფასება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 21 ქულას).

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით მიიღება 51 ქულა ან მეტი.

დასაქმების სფერო და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათებლო პროგრამის კურსდამთავრებულს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მოპოვების შემთხვევაში უფლება აქვს განახორციელოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა (საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, მუხლი 7).

საექიმო საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად (მუხლი 17) უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე კურსდამთავრებულს უფლება აქვს განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

ა) გაიაროს უმაღლესის შემდგომი პროფესიული მზადების კურსი და სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება;

ბ) განახორციელოს კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა მედიცინის თეორიულ დარგებში ან ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროში, რომელიც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას;

გ) იმუშაოს უმცროს ექიმად.

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია გააგრძელოს სწავლა უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურა).

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ეკონომიკა

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №ს1-21, 06.08.2021

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:

დადგენილება №5, 16.08.2021

ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №ს 2-24, 21. 02. 2024

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:

დადგენილება №4, 23.02.2024

განათლების საფეხური: დოქტორანტურა (უმაღლესი განათლების III საფეხური)

სწავლების ენა: ქართული / დოქტორანტს აქვს შესაძლებლობა ერთ სასწავლო კურსს დაეუფლოს ინგლისურ ენაზე

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0311 ეკონომიკა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის დოქტორი / PhD in Economics

სწავლის ხანგრძლივობა: 3 წელი, 6 სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი: გოჩა თუთბერიძე, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ტელ.: (+995) 599 10 00 36; ელ -ფოსტა: gocha.tutberidze@unik.edu.ge;

პროგრამის თანახელმძღვანელი: ტატიანა მურავსკა, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ტელ.: (+371) 29207753; ელ-ფოსტა: tatjana.muravska@unik.edu.ge; tatjana.muravska@rsu.lv

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე დაშვებისათვის აუცილებელია: მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ეკონომიკასა ან ბიზნესის ადმინისტრირებაში. სხვა აკადემიური ხარისხის მქონე კანდიდატებისთვის კი სავალდებულოა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება (თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატებს, რომელთაც ექნებათ სამეცნიერო პუბლიკაციები ეკონომიკის ან ბიზნესის თემატიკაზე და სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებსა და ფორუმებში მონაწილეობა (სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები და შრომების კრებული სხვა საბუთებთან ერთად უნდა იქნას წარმოდგენილი). პროგრამაზე დაშვების აუცილებელი პირობაა აგრეთვე, ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა, რისთვისაც კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დიპლომი ან ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი, ან ჩააბარონ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდა. გამოცდა ჩატარდება „ქუთაისის უნივერსიტეტის“ სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად. ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარების მინიმალური ბარიერია 80 ქულა. კანდიდატები, რომლებიც ვერ გადალახავენ აღნიშნულ ბარიერს, კარგავენ კონკურსში

მონაწილეობის გაგრძელების უფლებას.

საერთაშორისო სერთიფიკატით ინგლისური ენის ცოდნის დონის შესაბამისობის დადგენისას სახელმძღვანელო ინფორმაცია:

ინგლისური ენა	CEFR B2
	IELTS exam – 5.5
	BEC exam and CELS exam – Vantage
	Cambridge exam – FCE
	TOEIC – 785
	TOEFL iBT – 72
	TOEFL ITP – 543

სადოქტორო პროგამაზე ჩარიცხვის მსურველმა სარეგისტრაციოდ წარმოსადგენ დოკუმენტებთან ერთად უნდა წარმოადგინონ პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერილი სადოქტორო კვლევის განაცხადი (იხ. დოკუმენტის ბოლოს, დანართი 1) რომელიც შესაფასებლად ეგზავნება დროებითდარგობრივ კომისიას. კვლევითი განაცხადი ფასდება 5 ქულიანი სისტემით (შეფასების პრინციპები და მინიმალური ზღვრები იხ. დოკუმენტის ბოლოს, დანართში 2). სადოქტორო პროგამაზე ჩარიცხვის მსურველი დროებითი დარგობრივი კომისიის წინაშე აკეთებს თავისი კვლევითი განაცხადის პრეზენტაციას. პრეზენტაცია ფასდება 5 ქულიანი სისტემით (შეფასების პრინციპები და მინიმალურიზღვრები იხ. დოკუმენტის ბოლოს, დანართში 3). ზეპირი გამოცდის შეფასება ხდება დროებითი დარგობრივი კომისიის მიერ, წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების, კრიტერიუმების და რუბრიკების შესაბამისად. ზეპირი გამოცდის მოთხოვნები, კრიტერიუმები და რუბრიკები განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ყოველი მიღების გამოცხადებისთანავე. პროგრამაზე ჩარიცხვისათვის ერთიანი შეფასება შედგება კვლევის განაცხადისა და პრეზენტაციის შეფასებათა ქულების ჯამისაგან.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან: ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმან•ათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის მიზანი

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური მეცნიერ-მკვლევარის მომზადება აკადემიური და ბიზნეს კარიერისათვის, რომელიც შეძლებს:

1. გამოიყენოს თანამედროვე ეკონომიკური თეორიების ცოდნა სხვადასხვა ეკონომიკური პრობლემების გაგებისა და გადაჭრისათვის, მოახდინოს ეკონომიკური პოლიტიკის შეფასებები, შეიმუშაოს რეკომენდაციები და მიიღოს გადაწყვეტილებები;

2. თანამედროვე სარწმუნო ეკონომიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ჩაატაროს ორიგინალური კვლევა ანალიტიკური, მათემატიკური და ეკონომეტრიკული უნარების გამოყენებით რომელიც გულისხმობსთანამედროვე ეკონომიკური მონაცემების მდიდარი ნაკრების გამოყენებას;

3. მოამზადოს და გამოაქვეყნოს ორიგინალური ეკონომიკური კვლევა, რაც მოიცავს სადისერტაციო ნაშრომს, ასევე, სამეცნიერო ნაშრომის მომზადებას აღიარებულ ბაზებში განთავსებული რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალებისათვის და ეკონომიკური კვლევების კონფერენციებზე წარდგენას;

4. ეკონომიკის შესახებ ცოდნის გადაცემას და გავრცელებას აკადემიური და არააკადემიური კარიერის ფარგლებში.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება:

1. აღწერს ეკონომიკურ თეორიებსა და მოდელებს წერილობითი და ზეპირი ფორმით;

2. ახდენს მიკრო და მაკრო თეორიების ცოდნის დემონსტრირებას, აღწერს რა სიღმისეულად მიკრო და მაკროთეორიების სირთულეს, ტრადიციული თეორიების წვლილს და შეზღუდულობას ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში;

უნარი:

3. იყენებს ეკონომიკურ თეორიებსა და მოდელებს, ასევე საბაზო რეგრესიულ ანალიზს, შეფასებასა და პროგნოზირებას ეკონომიკის, როგორც რეგიონულ, ასევე ეროვნულ დონეზე არსებული პრობლემების მიმართ;

4. ხსნის და აფასებს ძირითად ეკონომიკურ მოდელებს კონკრეტული ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

5. დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და უწევს ზედამხედველობას ინოვაციურ კვლევას;

6. ამოწმებს ჰიპოთეზებს, ახდენს კვლევის შედეგების პროგნოზირებას და ინტერპრეტირებას;

7. კვლევების წარმოებისას იცავს სამეცნიერო ეთიკისა და აკადემიური პატიოსნების ნორმებსა და პატივს სცემს კოლეგების აზრს.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამისთვის განკუთვნილი 60 კრედიტიდან 54 კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს, ხოლო 6 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს. პროგრამა ასევე ითვალისწინებს კვლევით კომპონენტს: სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას დადაცვას.

სასწავლო კომპონენტი		კრედიტი
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (54 ECTS)		
1	მიკროეკონომიკური ანალიზი	6
2	კვლევის მეთოდები ეკონომიკაში	4
3	ეკონომეტრიკა	6
4	სწავლების თანამედროვე მეთოდები	4

5	სამეცნიერო წერის მეთოდები	4
6	სემინარი	6
7	მაკროეკონომიკური ანალიზი	6
8	მონეტარული თეორია და პოლიტიკა	5
9	საჯარო ფინანსები და ფისკალური პოლიტიკა	5
10	თამაშთა თეორია	4
11	პროფესორის ასისტენტობა	4
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები (6 ECTS)		
12	ქცევის ეკონომიკა	6
13	შრომის ეკონომიკა	6
14	განათლების ეკონომიკა	6
15	აგრარული ეკონომიკა	6
16	ევროპის რეგიონალური და სოციალური პოლიტიკა	6
	სულ (ECTS)	60
კვლევითი კომპონენტი		
სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა		

პროგრამის ფარგლებში არჩევით კომპონენტებში მოიაზრება სფეროსთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების გაღრმავებისკენ მიმართული სასწავლო კურსები, მათი არჩევა დოქტორანტს შეუძლია საკუთარი სასწავლო/კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე - ჯამში 6 კრედიტის მოცულობით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მეშვეობით განისაზღვრება დოქტორანტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამის კონკრეტულ შედეგებთან. ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში დოქტორანტის ცოდნის შეფასება დაფუძნებულია კრიტერიუმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ფლობს თუ არა სტუდენტი სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს “.

სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება შეფასების ფორმებით, შუალედური შეფასებით და დასკვნითი შეფასებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოოშეფასება შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი –91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი –61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი –51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლისუფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტსეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

დოქტორანტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომელიც ტარდება მე-8-9 კვირაში. შუალედური შეფასების კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში.

დასკვნით გამოცდაზე დოქტორანტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 42 %, დასკვნითი გამოცდის შეფასების 50%+1. სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს დადგენილისგან განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხვნის შესაბამისად.

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით მიიღება 51 ქულა ან მეტი.

დასაქმების სფერო

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა განკუთვნილია პერსპექტიული სტუდენტებისათვის, რომლებსაც სურვილი აქვთ მოემზადონ კარიერისთვის აკადემიურ სფეროში სწავლებისა და კვლევისათვის, სამთავრობო სტრუქტურებში, კვლევით ორგანიზაციებში ან კომერციულ საწარმოებში.

საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი: +995 (431) 23 79 79 ელ ფოსტა: info@unik.edu.ge მისამართი:
ქუთაისი, წერეთლის ქ. #13